განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

მაკო ჯაოშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ინგა ბოჭოიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **211349192**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის №152-ე ბრძანების და 2019 წლის 1 მარტის №162-ე ბრძანების (№152-ე ბრძანებაში შესული ცვლილება ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ) საფუძველზე, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - ტიტე ბოლქვაძე (ჯგუფის თავმჯდომარე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი), მაკო ჯაოშვილი (ჯგუფის წევრი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი), ინგა ბოჭოიძე (ჯგუფის წევრი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი), 2019 წლის 13 და 14 მარტს განახორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ღონისძიების ორგანიზება“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“** და **„ჰაერის კონდიცირება“** ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სტუ-ს მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 13-14 მარტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. N68.

ვიზიტის პირველ დღეს შედგა შეხვედრა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან აფილირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადაამოწმა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და ბიბლიოთეკა.

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტები ადგილზე გაეცნენ პრაქტიკის ობიექტებს და დაწესებულების ცენტრალურ ბიბლიოთეკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

დღის მეორე ნახევარში გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მუშაობა დაიწყეს დასკვნის პროექტზე და გააკეთეს ჩატარებული სამუშაოების ანალიზი. დღის ბოლოს შედგა შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, სადაც შეჯამდა ორი დღის სამუშაოების შედეგები.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ ანალოგიური პროფილის უმაღლესი აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2019 წლის 14 მარტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2019წ.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **„საოფისე საქმე“**, **„ღონისძიების ორგანიზება“** და **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“**

	სტანდარტი	**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1.	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**	**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

	პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ჰაერის კონდიცირება“

სტანდარტი		**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

	პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	□	■

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

დარღვეულია ქვესტანდარტი 2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

აღწერა:

ექსპერტებმა გადაამოწმეს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი და შეადარეს მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ჰაერის კონდიცირება“ მოდულების სასწავლო რესურსის გადამოწმებისას, პროფესიულ მოდულებში მითითებული არც ერთი სასწავლო რესურსი არც კატალოგში და არც მატერიალური სახით არ მოიძებნა.

ექსპერტების მიერ დაწესებულების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გადამოწმდა იმ სასწავლო რესურსის არსებობა, რომელიც ვერ მოიძებნა პროგრამის განხორციელების ადგილზე არსებულ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. აღნიშნული სახელმძღვანელოები არც დაწესებულების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არ იყო.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1

- ✓ სასურველია დაწესებულებამ თავიანთ მარეგულირებელ წესებში შეიტანოს ცვლილებები და გამიჯნოს პროფესიული და აკადემიური პროგრამების განხორციელების რეგულაციები და აღსრულების პროცედურები, მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
- ✓ სასურველია დაწესებულებამ გაასწოროს „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის მოდულების ადაპტირებისას დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები და მატერიალური რესურსი ამოიღოს მოდულებიდან, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

ბრძანების (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანებით) შესაბამისად.

- ✓ სასურველია დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანოს „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის მოდულების სასწავლო რესურსებში და იქ, სადაც მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მოცემული, შეტანილ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურაც.

- ✓ სასურველია დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანოს „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის მოდულებში და 3.2 პუნქტში (საათების განაწილების სქემა), საკონტაქტო საათებიდან გამოყოს შეფასებისთვის განკუთვნილი საათები.

- ✓ სასურველია დაწესებულებამ სასწავლო გეგმები შეცვალოს იმდაგვარად, რომ დაცული იყოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პირობა და პროფესიულ სტუდენტს მიეცეს გადაბარების შესაძლებლობა არანაკლებ 10 დღეში.

- ✓ სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაეწიოთ კონსულტაცია, ან ჩაუტარდეთ გადამზადება მოდულური სწავლების სპეციფიკასა და კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.
- ✓ სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ღონისძიების ორგანიზება“** მოდულების - პრაქტიკული პროექტი სპორტული სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და პრაქტიკული პროექტი ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება, შედეგების ათვისების მიზნით, დამატებით გააფორმოს ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთანაც, რადგან, მხოლოდ ერთი ობიექტი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული შედეგების სრულად დაფარვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ღონისძიების ორგანიზება“, მოდულები - პრაქტიკული პროექტი სპორტული სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და პრაქტიკული პროექტი ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება, სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს ადგილზეც, დაწესებულების ბაზაზე, რადგანაც სტუ-ს უამრავი სპორტული და კულტურული აქტივობები აქვს და შეიძლება მთლიანად მოიცვას აღნიშნული მოდულები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

1.2 სასურველია დაწესებულებამ კატალოგში, ანონსის სახით განათავსოს ინფორმაცია დასამატებელი პროფესიული პროგრამების შესახებ და ასევე მიეთითოს რომელი წლის კატალოგია.

1.4 სასურველია დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტებში გამიჯნოს აკადემიური და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

1.5 სასურველია დაწესებულებამ დამატებით გააფორმოს მემორანდუმები იმავე მუნიციპალიტეტში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სადაც უნდა განხორციელდეს დასამატებელი პროგრამები, მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შემდეგი პროფესიული პროგრამების: „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“ და „ჰაერის კონდიცირება“ გაუქმების შემთხვევაში, რადგან პროფესიულ სტუდენტს ქონდეს შესაძლებლობა ტერიტორიულად იგივე ქალაქში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

2.9 სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით, ცალკე სუბსტრატეგია ჩამოაყალიბოს, რადგანაც დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პროფესიული განათლების მიმართულების განვითარებისათვის.

3.2 სასურველია დაწესებულებას მოდულების განმახორციელებლად ყავდეს მინიმუმ ორი პედაგოგი, რადგან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს. ასევე წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული მოდულების განმახორციელებლად პრაქტიკულ ნაწილში მოიწვიონ შესაბამის დარგში დასაქმებული სპეციალისტები, რადგან მოდულური სწავლება მეტად არის ორიენტირებული პრაქტიკაზე.

3.3 სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს და შეიმუშაოს პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის ფორმალური წესი, რითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი და ზოგადად პროფესიული განათლება გაემიჯნება აკადემიური განათლებისაგან და სადაც კონკრეტულად იქნება გაწერილი როგორ ხდება მათთან შრომითი ურთიერთობების გაფორმება, რაც უზრუნველყოფს მათთვის კანონიერი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

VII. დაწესებულების მისია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრა-ტიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. უნივერსიტეტი ამ მისიის შესაბამისად მიზნად ისახავს უზრუნველყოს:

- აკადემიური უმაღლესი განათლების, ინოვაციური მეცნიერული კვლევების მაღალი ხარისხი ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო, სამართლის, აგრარული, ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებების, ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნებისა და მიმართულებათშორისი დარგებისა და სპეციალობების (განსაკუთრებული აქცენტით ევროპის- მცო-დნეობის, არქეოლოგიის, არქიტექტურის, საჯარო მმართველობის, სამხედრო)მიმართულებით;
- პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს მაღალკვალიფიციური საზოგადოების საჭიროებაზე ორიენტირებულიკადრები;
- პროფესიული და აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა დაგანვითარება;
- უნივერსიტეტის პერსონალის აკადემიური თავისუფლება (რაც მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტის სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, მობილობის შეუზღუდავ შესაძლებლობებს);
- განათლებისა და მეცნიერების საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება, კვლევისა და სწავლების რეგიონალიზაცია და ინტერნაციო- ნალიზაცია, კოლაბორაციის განვითარება უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- უნივერსიტეტის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების და კოლეგიური მართვის სისტემის ოპტიმიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ს/კ 211349192 (შემდგომში დაწესებულება) წარმოადგენს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის N77 გადაწყვეტილება).

დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი სამი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით:

1. აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის №01-05-04/354 დადგენილებით დამტკიცებული და 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/32 დადგენილებებით მოდიფიცირებული სახით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“,** სარეგისტრაციო ნომერი 04113-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში (კოდი: 020371); მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 30, თითო ნაკადზე 15-15.
2. აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის №01-05-04/354 დადგენილებებით დამტკიცებული და 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/32 დადგენილებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

მოდიფიცირებული სახით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„ჰაერის კონდიცირება“**, სარეგისტრაციო ნომერი 07312-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში (კოდი: 040571); მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 30, თითო ნაკადზე 15-15.

3. აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის №01-05-04/354 დადგენილებებით დამტკიცებული და 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/32 დადგენილებებით მოდიფიცირებული სახით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„ღონისძიების ორგანიზება“,** სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში (კოდი:020370); მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 30, თითო ნაკადზე 15-15.
4. აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის №01-05-04/354 დადგენილებებით დამტკიცებული და 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/32 დადგენილებებით მოდიფიცირებული სახით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„საოფისე საქმე“,** სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში (კოდი:020369); მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 30, თითო ნაკადზე 15-15.

პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის სტუ-ს აკადემიური საბჭო, რაც განსაზღვრულია სტუ-ს წესდების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით.

საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის წესდებაში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში არსად არ არის გამიჯნული პროფესიული და აკადემიური პროგრამების განხორციელების რეგულაციები და მათი აღსრულების პროცედურები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული რეკომანდაცია მათ შესასრულებლად მოცემული აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე და მათ შეიმუშავეს მოცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რის მიხედვითაც აღნიშნული რეკომენდაცია უნდა შესრულდეს 2019 წლის 3 ივნისამდე.

სასურველია დაწესებულებამ თავიანთ მარეგულირებელ წესებში შეიტანოს ცვლილებები და გამიჯნოს პროფესიული და აკადემიური პროგრამების განხორციელების რეგულაციები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

აღსრულების პროცედურები, მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ღონისძიებების ორგანიზება“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“ და „ჰაერის კონდიცირება“** განხორციელების დასაბუთება. პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის წარმოდგენილია ბაზრის კვლევა, რის მიხედვითაც, ამ მიმართულების კადრებზე მოთხოვნა დინამიკაში მზარდია. კოლეჯი საკუთარი რესურსის შეფასებით ასაბუთებს თითოეულ პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. ბაზრის კვლევის მტკიცებულების სახით დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს საქსტატის მონაცემები, რეგისტირებული და მოქმედი ორგანიზაციების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებული ვერსიებისაგან. პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა; პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი მოდულები, საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები). თითოეულ პროგრამას თან ერთვის: შესაბამისი მოდულები; სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ (სახელი, გვარი, მოდული - რომელსაც ახორციელებს და კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება); სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული პროგრამის შესაბამისი მოდულების შესწავლისას დაცულია წინაპირობები, თანმიმდევრობა ასხულია სასწავლო გეგმებში.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანებით), მოდულების დამხმარე ჩანაწერებში აღარ უნდა იყოს მატერიალური რესურსი. „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის მოდულების ადაპტირებისას დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომები და მატერიალური რესურსი მოცემულია მოდულებში.

სასურველია დაწესებულებამ გაასწოროს „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის მოდულების ადაპტირებისას დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები და მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

რესურსი ამოიღოს მოდულებიდან, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანების (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანებით) თანახმად.

„ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის დარგობრივ მოდულებში დამხმარე ჩანაწერების 3.2 პუნქტის მიხედვით (საათების განაწილების სქემა), შეფასებისთვის არ არის გამოყოფილი საათები. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი გადმოტანილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანებით) დამტკიცებული ჩარჩო პროგრამიდან და საკონტაქტო საათებში ითვალისწინებენ შეფასებასაც. რადგან ჩარჩო პროგრამაში აღნიშნული ჩანაწერი (3,2 პუნქტი) სარეკომენდაციო ხასიათისაა, მათ შეუძლიათ საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა შეცვალონ და საკონტაქტო საათების ხარჯზე ჩაამატონ შეფასებისთვის განკუთვნილი საათები.

სასურველია დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანოს „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის მოდულებში და 3.2 პუნქტში (საათების განაწილების სქემა), საკონტაქტო საათებიდან გამოყოს შეფასებისთვის განკუთვნილი საათები.

იგივე პროგრამის მოდულებში მითითებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ლიტერატურა, მოდულის წინაპირობას კი ინგლისური ენა არ წარმოადგენს. პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პედაგოგი ამზადებს „კონსპექტებს“ და მისი საშუალებით ხდება აღნიშნული ლიტერატურის მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის. ასევე პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ საკითხებზე არსებობს ქართულენოვანი ლიტერატურაც, რომელიც, რატომღაც სასწავლო რესურსებში შეტანილი არ არის.

სასურველია დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანოს „ჰაერის კონდიცირების“ პროფესიული პროგრამის მოდულების სასწავლო რესურსებში და იქ, სადაც მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მოცემული, შეტანილ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურაც.

სასწავლო გეგმებში დაცულია თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობები და ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია წინაპირობები. ოთხივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

პროფესიული პროგრამების „საოფისე საქმე“ და „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“ სასწავლო გეგმების მიხედვით, წინმსწრებ მოდულებს შორის გადაბარების ვადები დაცული არ არის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, სადაც მე-2 მუხლის 13 პუნქტში მითითებულია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

დასკვნითი გამოცდის ვერ ჩაბარების ჩემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა გადაბარების შესაძლებლობა არანაკლებ 10 დღეში. ხოლო აღნიშნული სასწავლო გეგმები ამის საშუალებას არ იძლევა. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ასეთი შემთხვევები მხოლოდ მოდულების „პრაქტიკული პროექტი“ და „საწარმოო პრაქტიკის“ დაწყების წინ ხდება და საჭიროების შემთხვევაში, ადგენენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მისი გამოყენებით ახდენს პროფესიული სტუდენტის სწავლებას მოდულზე დაშვების წინაპირობების დაცვით. თუმცაღა რადგანაც ასეთი შემთხვევა არ ქონიათ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოდგენა ვერ მოხერხდა.

სასურველია დაწესებულებამ სასწავლო გეგმები შეცვალოს იმდაგვარად, რომ დაცული იყოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის მე-2 მუხლის 13 პუნქტით გათვალისწინებული პირობა და პროფესიულ სტუდენტს მიეცეს გადაბარების შესაძლებლობა არანაკლებ 10 დღეში.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რაც რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის მე-3 მუხლით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა დასრულებული მოდულების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც შესაბამისობაში იყო მოდულების სწავლის შედეგებთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების უწყისის წარმოების პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოქმედი პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების უწყისების წარმოების მიმდინარეობა, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ წესთან და კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ესპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „**ღონისძიებების ორგანიზება“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“ და „ჰაერის კონდიცირება“** პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: პროფესიული მასწავლებლები, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ მასწავლებლებისა, საკმარისად ვერ ერკვეოდნენ მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიკაში, ასევე სწავლის შედეგების შეფასების საკითხებში და საჭიროებენ კონსულტაციებს/ტრეინინგებს მოდულური სწავლების სპეციფიკასა და კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლებს გაეწიოთ კონსულტაცია, ან ჩაუტარდეთ გადამზადება მოდულური სწავლების სპეციფიკასა და კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რაც რეგულირდება „სტუ-ს კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის“ 7[1] მუხლით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დაწესებულებას ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტები.

დაწესებულება აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს (evet.emis.ge), სადაც შეტანილი აქვს ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული სტუდენტების (მათ შორის: აქტიური სტატუსის, სტატუსშეჩერებულის), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ.

პროგრამების განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. **სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა**
    - შპს ჯი-ეს-ემ ტრანსი, ხელშეკრულება 01-08-15/986-2018-2, რომლის საფუძველზეც, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ - საწარმოო პრაქტიკის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის სწავლება მისამართზე: ქ. თბილისი, ზაჰესის დასახლება, მ. წინამძღვრიშვილის ქ. 20. მოქმედების ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.
    - შპს ჯი-ეს-ემ ტრანსი, ხელშეკრულება 01-08-15/985-2018-2, რომლის საფუძველზეც, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ - პრაქტიკული პროექტის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის სწავლება მისამართზე: ქ. თბილისი, ზაჰესის დასახლება, მ. წინამძღვრიშვილის ქ. 20. მოქმედების ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

- საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია, ხელშეკრულება 01-08-15/1033-2018-2, რომლის საფუძველზეც, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ - გაცნობითი პრაქტიკის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის სწავლება მისამართზე: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის 12ა. მოქმედების ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.

2. **ჰაერის კონდიცირება**
   - შპს მაცივარაგენტების შეგროვებისა და რეციკლირების ცენტრი, ხელშეკრულება ნ/გ 15 ნოემბერი, 2018წ., რომლის საფუძველზეც, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ - გაცნობითი პრაქტიკის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს პრაქტიკაზე გაგზავნილი სტუდენტების სწავლება მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი 25.

3. **ღონისძიების ორგანიზება**
   - შპს კრწანისი, ხელშეკრულება 01-08-15/1038-2018-2, რომლის საფუძველზეც, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების - პრაქტიკული პროექტი სპორტული სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და პრაქტიკული პროექტი ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება, შედეგების ათვისების მიზნით, უზრუნველყოს პრაქტიკაზე გაგზავნილი მაქსიმუმ 15 სტუდენტის სწავლება მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასალის გამზირი 2. მოქმედების ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.

4. **საოფისე საქმე**
   - შპს ნიუ ენჯინირინგ, ხელშეკრულება 01-08-15/983-2018-2, რომლის საფუძველზეც, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის - საწარმოო პრაქტიკის შედეგების ათვისების მიზნით, უზრუნველყოს პრაქტიკაზე გაგზავნილი მაქსიმუმ 15 სტუდენტის სწავლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 4. მოქმედების ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.

- შპს ნიუ ენჯინირინგ, ხელშეკრულება 01-08-15/982-2018-2, რომლის საფუძველზეც, დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის - გაცნობითი პრაქტიკა შედეგების ათვისების მიზნით, უზრუნველყოს პრაქტიკაზე გაგზავნილი მაქსიმუმ 15 სტუდენტის სწავლება მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 4. მოქმედების ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.

ხელშეკრულებებში გაწერილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის უფლება - მოვალეობები.

დაწესებულებამ ვიზიტის პროცესში დამატებით წარმოადგინა მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან შპს „ტრანსფორ გრუპი“, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 თებერვალს და ითვალისწინებს „**სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“** პროფესიული პროგრამის სტუდენტების პრაქტიკის გატარებას.

დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ შპს „მაცივარაგენტების შეგროვებისა და რეციკლირების ცენტრთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება იქნება შესაძლებელი ერთდროულად. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და მათ ვიზიტის პროცესში წარმოადგინეს შესწორებული ხელშეკრულება, სადაც მითითებულია, რომ ორგანიზაცია უზრუნველყოფს პრაქტიკაზე გაგზავნილი მაქსიმუმ 15 სტუდენტის სწავლებას.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პარტნიორ ორგანიზაციაში შემდეგ მისამართებზე:

1. საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია, ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის 12ა. სადაც მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“,** დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისება.
2. შპს ნიუ ენჯინირინგ, მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 4. სადაც მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საოფისე საქმე“,** დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, მოდულის - საწარმოო პრაქტიკის და გაცნობითი პრაქტიკის შედეგების ათვისება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

პარტნიორ ორგანიზაციაში ვიზიტის პროცესში შესაძლებელი გახდა ინსტრუქტორებთან და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრებაც. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა. პარტნიორ საწარმოში ინსტრუქტორი თეორიის მასწავლებელთან ერთად ახდენს პროფესიული სტუდენტის შეფასებას. პროფესიული სტუდენტები სისტემატურად ავსებენ ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ადასტურებს ინსტუქტორი.

სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ მოდულების - პრაქტიკული პროექტი სპორტული სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და პრაქტიკული პროექტი ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება, შედეგების ათვისების მიზნით, დამატებით გააფორმოს ხელშეკრულება სხვა ორგანიზაციებთანაც, რადგან მხოლოდ ერთი ობიექტი ვერ შეძლებს უზრუნველყოს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული შედეგების სრულად დაფარვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ღონისძიების ორგანიზება“, მოდულები - პრაქტიკული პროექტი სპორტული სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და პრაქტიკული პროექტი ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება, სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს ადგილზეც, დაწესებულების ბაზაზე, რადგანაც სტუ-ს უამრავი სპორტული და კულტურული აქტივობები აქვს და შეიძლება მთლიანად მოიცვას აღნიშნული მოდულები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის №01-05-04/354 დადგენილებით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/32 დადგენილებით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ;
- ხელშეკრულებებით პარტნიორ საწარმოებთან (01-08-15/986-2018-2; 01-08-15/985-2018-2; 01-08-15/1033-2018-2; ნ/გ 15 ნოემბერი, 2018წ.; 01-08-15/1038-2018-2; 01-08-15/983-2018-2; 01-08-15/982-2018-2; ნ/გ 01 თებერვალი 2019წ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესით (დამტკიცებული სტუს-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილების დანართი №1);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით;
- სტუ-ს კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციით, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 17 ივნისს №482 დადგენილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრით (evet.emis.ge);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრემების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით.

შეფასება:

- ✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია სტუ-ს ვებგვერდზე http://gtu.ge/pdf/profesiulis_katalogi_2.pdf. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში შეტანილია პროფესიული პროგრამები, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, პროგრამების ჩამონათვალი, პროგრამის ხანგრძლივობა, თითოეული პროგრამისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამაზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, შეფასების წესი, პროგრამის ხანგრძლივობა, პროგრამის განხორციელების ადგილი და პრაქტიკის ობიექტები.
კატალოგში არ არის მითითებული თუ რომელი წლის კატალოგია და ასევე ინფორმაცია დასამატებელი პროგრამების შესახებ.
სასურველია დაწესებულებამ კატალოგში, ანონსის სახით განათავსოს ინფორმაცია დასამატებელი პროფესიული პროგრამების შესახებ და ასევე მიეთითოს რომელი წლის კატალოგია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი: http://gtu.ge/pdf/profesiulis_katalogi_2.pdf;
- სტუ-ს კატალოგით.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების - **„ღონისძიების ორგანიზება“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“ და „ჰაერის კონდიცირება“** - სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს).
დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ **ღონისძიების ორგანიზების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ✓ **საოფისე საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ✓ **სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ **ჰაერის კონდიცირების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ✓ **ჰაერის კონდიცირების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);
- ✓ **საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);
- ✓ **ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი).

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გაწერილია სტუ-ს წესდებასა და სტუ-ს კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 17 ივნისს №482 დადგენილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge), სადაც სწორად და ვადების დაცვით იყო ასახული პროფესიულ სუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. შემოწმდა, თუ როგორ მოხდა პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვება, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში ინახება მასთან გაფორმებული სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულება. სასწავლო ხელშეკრულება დგება პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანსა და პროფესიულ სტუდენტს შორის და მოიცავს ინფორმაციას შესასწავლი მოდულების და შესაბამისი კრედიტების შესახებ. ფინანსური ხელშეკრულება ფორმდება რექტორსა და პროფესულ სტუდენტს შორის (არასრულწლოვანის შემთხვევაში მის კანონიერ წარმოამდგენელს შორის), სადაც გაწერილია დაწესებულების და პროფესიული სტუდენტების უფლება - მოვალეობები. ხელშეკრულებაში არის მუხლი რითიც დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები გაცნობილნი არიან დაწესებულების დებულებას და შრომის შინაგანაწესს.

დაწესებულებას არ ჰქონია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევები.

ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა სტატუსშეწყვეტილი და სტატუსშეჩერებული სტუდენტების პირადი საქმეები, ასევე სტატუსის შეწყვეტის და შეჩერების შემთხვევები, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს.

დაწესებულებას არ ჰყოლია უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე არც ერთი პროფესიული სტუდენტი.

გადამოწმებულ იქნა შიდა და გარე მობილობის შემთხვევები, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარების პროცედურას არეგულირებს სტუ-ს კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის დანართი 3. ინტერვიურების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებაში მომართვის არარსებობის გამო, არ განხორციელებულა არაფორმალური განათლების აღიარება.

სასურველია დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტებში გამიჯნოს აკადემიური და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ;
- სტუ-ს კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციით, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 17 ივნისს №482 დადგენილებით.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სტუ-ს კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის დანართი 3-ით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 17 ივნისს №482 დადგენილებით, რითიც ირკვევა, რომ დაწესებულება სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, შეუზღუდავი ვადით, სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან, სადაც მხარეები იღებენ ვალდებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“** გაუქმების შემთხვევაში ითანამშრომლონ პროფესიული სტუდენტების მობილობის შეუფერხებლად განხორციელებაში კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **„ღონისძიების ორგანიზება“** და **„ჰაერის კონდიცირება“** მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით 2018 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული აქვს №01-08-15/1036-2018-2 ხელშეკრულება 2024 წლის 31 დეკემბრამდე, საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საოფისე საქმე“** მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით 2018 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული აქვს №01-08-17/148-2018-4 მემორანდუმი უვადოდ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისთან“.

სასურველია დაწესებულებამ დამატებით გააფორმოს მემორანდუმები იმავე მუნიციპალიტეტში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სადაც უნდა განხორციელდეს დასამატებელი პროგრამები, მობილობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შემდეგი პროფესიული პროგრამების: „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“ და „ჰაერის კონდიცირება“ გაუქმების შემთხვევაში, რადგან პროფესიულ სტუდენტს ქონდეს შესაძლებლობა ტერიტორიულად იგივე ქალაქში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტუ-ს კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციით, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 17 ივნისს №482 დადგენილებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით შეუზღუდავი ვადით, სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან;
- 2018 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული №01-08-15/1036-2018-2 ხელშეკრულებით, 2024 წლის 31 დეკემბრამდე, საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“;
- 2018 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული №01-08-17/148-2018-4 მემორანდუმით, უვადოდ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისთან“.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, შესაბამის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების პროცესების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება - PDCA (Plan, Do, Check and Act). PDCA წარმოადგენს დაუსრულებელ ციკლს, რომლის რეალიზაცია ხდება სამუშაო პროცესის ყველა ფაზაზე და უნივერსიტეტის მართვის ყველა დონეზე. აღნიშნული ციკლის საფუძველია მოსაზრება, რომ რომელიმე პროცესის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ამ პროცესის დაგეგმვა, გეგმის შესრულება, შესრულების შეფასება და შედეგების ანალიზის გათვალისწინებით მოქმედება განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, რაც, ჩვეულებრივ, იწვევს გეგმების გადახედვას და ა. შ.

დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/01, 14.02.2018)

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მიზნით, რექტორის ბრძანებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, იქმნება კომისია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების, მატერიალური, ადამიანური რესურსების და სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, რომ პროგრამამ უზრუნველყოს დასახული მიზნების და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევა. შემუშაცებულია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; მათი მოდიფიცირებისა და გაუქმების საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი http://gtu.ge/quality/Quality-Ensuring.php;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (2018 წლის14 თებერვლის N01-05-04/1 დადგენილების დანართი N1); **http://gtu.ge/quality/Files/Pdf/programis%20dagegmv,%20shemush,%20shefaseb%20da%20ganvit%20wesi.pdf** ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა http://gtu.ge/quality/Forms-And-Recomendations/Recomendations.php.

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ჰაერის კონდიცირება“, „საოფისე საქმე“** და **„ღონისძიების ორგანიზება“,** სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი (041/016) მისამართზე ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №68 და მასზე მიმაგრებული შენობა ნაგებობები (საკადასტრო კოდი: [redacted]), დაზუსტებული შენობა-ნაგებობის ფართი - 30383 კვ.მ. აღნიშნულ მისამართზე უნდა განხორციელდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ჰაერის კონდიცირება“, „საოფისე საქმე“** და **„ღონისძიების ორგანიზება“**
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №68	30383

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაცია: [redacted] – 18/11/2016).

შეფასება:

- ✓ <u>**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 556-ის სახით, სადაც განთავსებულია 15 ერთადგილიანი მაგიდა 15 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 15 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები „FINA“ და „TRANS TRADE”.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 567-ის სახით, სადაც განთავსებულია 15 ერთადგილიანი მაგიდა 15 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ჰაერის კონდიცირება“,** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 555-ის სახით, სადაც განთავსებულია 15 ერთადგილიანი მაგიდა 15 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 15 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი პორტატული კომპიუტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და პრინტერი, არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ჰაერის კონდიცირება“,** გამოყოფილია A და C ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 660-ის სახით, სადაც განთავსებულია 18 ერთადგილიანი მაგიდა 18 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი, დაფა და საკანცელარიო ნივთები. ასევე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული C გარემოსთვის განკუთვნილი ხელსაწყოები და დანადგარები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საოფისე საქმე“,** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 555-ის სახით, სადაც განთავსებულია 15 ერთადგილიანი მაგიდა 15 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 15 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და პრინტერი, არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საოფისე საქმე“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 575-ის სახით, სადაც განთავსებულია 20 ერთადგილიანი მაგიდა 20 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ღონისძიების ორგანიზება“,** გამოყოფილია A და B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 617-ის სახით, სადაც განთავსებულია 18 ერთადგილიანი მაგიდა 18 სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, სულ 18 კომპიუტერი. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, ეკრანი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ცენტრალური გათბობით. დაწესებულება არის სს თელასის აბონენეტი №[redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს.
დაწესებულება მიერთებულია წყალმომარაგების ქსელზე და უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით. დაწესებულება არის GWP - ს აბონენტი №[redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში არის სველი წერტილები ცალკე ქალებისთვის და ცალკე მამაკაცებისთვის. დაწესებულებაში არსებობს სველი წერტილი, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
დაწესებულება მიერთებულია გაზის გამანაწილებელ ქსელზე და უზრუნველყოფილია მუდმივი გაზმომარაგებით. არის შპს „ყანსტრანსგაზ-თბილისი“-ის აბონენტი №[redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ვიზუალური დათვალიერებით;
- ➢ კომუნალური გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებთ.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ს აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია შემდეგი პუნქტები: ზოგადი დებულებანი, ბიბლიოთეკის სტრუქტურა, ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი, სამკითხელო დარბაზში მოქცევის წესები, ბიბლიოთეკის წიგნის გატანის პროცედურა, ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსები, მკითხველთა პასუხისმგებლობა, ბიბლიოთეკის მუშაობის დრო) სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი 10:00სთ-20:00სთ, შაბათი 10:00სთ-16:00სთ). დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს - „სენატის“ მიერ. ბიბლიოთეკარად მუშაობს პირი, რომელსაც აქვს ბიბლიოთეკარად მუშაობის გამოცდილება.

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკას, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას №68-ში (სადაც უნდა განხორციელდეს დასამატებელი პრეოგრამების სწავლება), აქვს როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური კატალოგიც. ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა ბიბლიოთეკის ოთახი, რომელიც განთავსებულია 618 აუდიტორიაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო დარბაზით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის ოთახში დგას 2 ცალი კომბაინი (პრინტერი, სკანერი და ასლგადამღები), პროფესიული სტუდენტებისთვის 16 მაგიდა, 16 სკამი და 6 სამაგიდე კომპიუტერი. ბიბლიოთეკარისთვის - ერთი მაგიდა, ერთი სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი და შედარებულ იქნა მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ჰაერის კონდიცირება“ მოდულების სასწავლო რესურსის გადამოწმებისას, პროფესიულ მოდულებში მითითებული არც ერთი სასწავლო რესურსი არც კატალოგში და არც მატერიალური სახით არ მოიძებნა.

სხვა დანარჩენი რესურსი ბიბლიოთეკის კატალოგში მოიძებნა. ბიბლიოთეკარის განმარტებით, ნაწილი სახელმძღვანელოებისა ინახება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, მოთხოვნის შემთხვევაში სტუდენტს მიუთითებენ სახელმძღვანელოს ადგილმდებარეობას და მას შეუძლია მივიდეს სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ან, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მოუტანენ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკაც, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ კორპუსში. ბიბლიოთეკას გააჩნია სამკითხველო დარბაზი, ბეჭდური და ელექტრონული კატალოგი, კომპიუტერული ცენტრი, დასასვენებელი ოთახი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ინახება იშვიათი და ანტიკვარული წიგნები და ჟურნალები. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.

ექსპერტების მიერ დაწესებულების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გადამოწმდა იმ სასწავლო რესურსის არსებობა, რომელიც ვერ მოიძებნა პროგრამის განხორციელების ადგილზე არსებულ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. არც დაწესებულების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა აღნიშნული სახელმძღვანელოები.

ელექტრონული წიგნები ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, სტრუქტურა, ციფრული ბიბლიოთეკა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ვებ გვერდი http://gtu.ge/Library/Fund/;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

✓ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს საკუთრებაში აქვს 67 სამაგიდო კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 63, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცის მართვაში - 4 სამაგიდო კომპიუტერი.

ფაკულტეტი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ასევე იყენებს 5 ცალ პროექტორს საკიდით და ამდენივე პროექტორის ეკრანს.

ფაკულტეტს აქვს 6 ცალი მრავალფუნქციური პრინტერი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები).

შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ქსელური მოწყობილობები, საიდანაც ვრცელდება ინტერნეტ კავშირი.

სტუ-ს მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდი. დაწესებულება ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

ვებგვერდი დომენური სახელით - "www.gtu.ge" წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვებგვერდით www.gtu.ge.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც დამტკიცებულია 2018 წლის 16 თებერვლის №29 ბრძანებით. რომლის მიხედვითაც გაწერილია დოკუმენტებისა და საქმისწარმოების წესები; სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების გაფორმებისათვის საჭირო რეკვიზიტები, აღრიცხვა და ა.შ. ხდება ბრძანებების, ცნობების და საფინანსო ხელშეკრულებების აღრიცხვა ბეჭდური რეგისტრაციის ჟურნალში. ბეჭდური რეგისტრაციის ჟურნალი დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რაც უზრუნველყოფს სანდოობას და მთლიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სარეგისტრაციო ჟურნალებით;
- სტუ-ს საქმისწარმოების ერთიანი წესით, დამტკიცებული სტუ-ს რექტორის 2018 წლის 16 თებერვლის №29 ბრძანებით.

შეფასება:

- ✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია სათანადო უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების დაცვის ცენტრალურ ოთახში, ხოლო საევაკუაციო გეგმის ასლები განთავსებულია დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე. ყველა სართულზე განლაგებულია ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები, მათი გამოყენების ინსტრუქციით.

დაწესებულებას ყავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და შემუშავებული აქვს „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით), რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის და ქონების დაცვას, ობიექტზე არსებული ვითარების უწყვეტ სადღეღამისო მონიტორინგს, უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების ნორმალური ფუნქციონირების კონტროლს, ობიექტზე პერსონალის დაშვების უზრუნველყოფას დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში. ასევე საჭიროების შემთხვევაში უნივესიტეტის ტერიტორიაზე მყოფ პირებს აღმოუჩინოს გადაუდებელი პირველადი დახმარება ან/და უზრუნველყოს მისი გადაყვანა უნივერსიტეტის უახლოეს სამედიცინო პუნქტში დახმარების აღმოსაჩენად.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებაში, მისამართზე ქ. თბილისი, კოსტავას №68, არსებობს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით, მათ შორის: მრავალფუნქციური საწოლითა და მაგიდით, საჭირო გადაუდებელი სამკურნალო საშუალებებით და წნევის აპარატით. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური პერსონალი - მედდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით, დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება“.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო.

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულების“ მე-15 მუხლის 2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად დაცვის თანამშრომელი ვალდებულია სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

საჭიროების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს აღმოუჩინოს დახმარება და უზრუნველყოს მათი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან ან/და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეუფერხებლად წვდომა.

დაწესებულებას აქვს საკუთრებაში სსსმ პირთა გადაადგილებისთვის სპეციალური დანადგარი **„კიბემავალი“** (შექმნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში), რომელზეც მონტაჟდება სსსმ პირისთვის განკუთვნილი სავარძელი და დამხმარე პირის მეშვეობით გადაადგილდება კიბეზე. **„კიბემავალი“** (რომელიც ვიზიტის მომენტში იმყოფებოდა რემონტზე) მოძრაობს 5მ/წთ სიჩქარით და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით კიბის ერთი განყოფილების გავლას ანდომებს 2 წუთს.

შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და დაწესებულების ადმინისტრაცია ასევე არსებობს სველი წერტილი ადაპტირებული სსსმ პირებისათვის. ყველა აუდიტორიის შესასვლელი მოწყობილია იმგვარად, რომ თავისუფლად მოხერხდეს სსსმ პირების გადაადგილება.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ შენობა-ნაგერბობა, სადაც უნდა განხორციელდეს დასამატებელი პროგრამების სწავლება, არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მასში პანდუსების, კიბეების დამატება და სხვა რაიმე კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია.

უნივერსიტეტში არსებობს მზაობა იმისათვის, რომ სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იყოს განსხვავებული მოთხოვნები და საჭიროებები სსსმ პირებისათვის. ამ მიზნის შესრულებას ემსახურება კონკურსის გზით შერჩეული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი, რომლებიც მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ასეთი საჭიროების მქონე სტუდენტებსა და მასაწავლებლებს. ამ პირებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ აეტაპზე მათ სხვა პროფესიულ პროგრამებზე ჰყავთ უკვე სსსმ საჭიროების სტუდენტი და მისთვის შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის „01“ სხდომის 01-06-„02/06“ დადგენილებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება“;
- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

- ინტერვიუირებით

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას 2019 წლის 31 იანვარს გაფორმებული აქვს №05-03/08-2019 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“, მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგის შესყიდვის შესახებ. ასევე 2019 წლის 31 იანვარს გაფორმებული აქვს №05-03/08-2019 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სს სილქნეტთან ინტერნეტ-მომსახურეობის გაწევის შესახებ.

დაწესებულების ვებ-გვერდია http://gtu.ge/, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, დაწესებულების განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვებ-გვერდით http://gtu.ge/;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

- ✓ ინტერნეტ-მომსახურეობის შესყიდვის შესახებ 2019 წლის 31 იანვარს გაფორმებული №05-03/09-2019 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით;
- ✓ ჰოსტინგის შესყიდვის შესახებ 2019 წლის 31 იანვარს გაფორმებული №05-03/08-2019 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, დამოუკიდებლად განსაზღვრავს უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტებს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების, საზოგადოების, აკადემიური და სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული (2018-2024 წწ) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წწ), დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, რომელთა მიზნებიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან.

სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები; სიტუაციური ანალიზი; SWOT ანალიზი; სტუ-ს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები 2018-2024 წწ.; სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი.

სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით, ცალკე სუბსტრატეგია ჩამოაყალიბოს, რადგანაც დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს პროფესიული განათლების მიმართულების განვითარებისათვის.

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება დაწესებულების მიზნების მიღწევას. სამოქმედო გეგმის მიზანი №5-ის ამოცანა 5.2 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, ითვალისწინებს: პროფესიულ კადრებზე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

შესაბამისი ანალიზის გაკეთებას; შემოსული განცხადებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შედგენას; პროფესიული სწავლების სტუდენტებისათვის სასწავლო ლაბორატორიების და სახელოსნოების მოწყობას; საწარმოებში უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით ინჟინრებისა და ტექნიკური პერსონალის გადამზადებას OSHA-ს ტრენინგკურსის პროგრამით.
სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, ხორციელდება სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიშების წარდგენა-განხილვა სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე.
შესრულებული სამუშაოსა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელდება ახალი მიზნების დაგეგმვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმით (2018-2024წწ);
- ✓ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმით (2018-2020წწ);
- ✓ http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობის დაკავების წესი გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება - საჯარო სამართლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 36 მუხლით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესის 2 მუხლით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეებით;
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით);
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება.

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პროცესში გადამოწმებულ იქნა პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები.

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 12 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **ღონისძიების ორგანიზების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/12 (2,5).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2019წ.

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 9 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/9 (3,33).

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 11 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/11 (2.72).

ჰაერის კონდიცირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 6 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **ჰაერის კონდიცირების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 30/6 (5).

პერსონალის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ არის ასახული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში (**evet.emis.ge**), რადგანაც, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები.

პროგრამის განმახორციელებელთა პირად საქმეების გადამოწმებისას, ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტების გადამოწმებისას, არსებული დოკუმენტაციით (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ყველა პროგრამაში მოდულების განმახორციელებლად მითითებულია თითო პედაგოგი, რაც განსაკუთრებულ შემთხვევებში მოდულის უწყვეტ რეჟიმში სწავლის საშუალებას ეჭვქვეშ აყენებს.წარმოდგენილი ყველა პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგების გადამოწმებისას არმოჩნდა, რომ პედაგოგების უმრავლესობა წარმოადგენს სტუ-ს თანამშრომელს, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, თუმცა მათ არ გააჩნიათ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

სასურველია დაწესებულებას მოდულების განმახორციელებლად მინიმუმ ორი პედაგოგი ყავდეს, რადგან განსაკუთრებულ შემთხვევებში სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს. ასევე წარმოდგენილი პროგრამების პროფესიული მოდულების განმახორციელებლად პრაქტიკულ ნაწილში მოიწვიონ შესაბამის დარგში დასაქმებული სპეციალისტები, რადგან მოდულური სწავლება მეტად არის ორიენტირებული პრაქტიკაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში მოხდა ინტერვიურება პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან. დასტურდება, რომ წარმოდგენილი პერსონალი თავისი კვალიფიკაციით შეესაბამება განსახორციელებელ კონკრეტულ პროგრამას. პერსონალთან და ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს ასევე დადასტურდა, რომ წარმოდგენილი პეროსნალის აკადემიურ პროგრამებზე საქმიანობა ხელს არ შეუშლის პროფესიული პროგრამების ხარისხიანად განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ✓ ინტერვიუირებით.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების თავი IV და საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1937 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, არეგულირებს უნივესიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევას, რის მიხედვითაც, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი სამსახურში მიიღება ღია კონკურსის ან არჩევის გზით.
ზემოთ ჩამოთვლილი აქტები არ მოიცავს მცნებას პროფესიული მასწავლებელი და არც პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დანიშვნის წესია გამიჯნული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული რეკომანდაცია მათ შესასრულებლად მოცემული აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე და მათ შეიმუშავეს მოცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რის მიხედვითაც აღნიშნული რეკომენდაცია უნდა შესრულდეს 2019 წლის 24 აპრილამდე.

ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სადაც განთავსებული იყო მხოლოდ CV, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც არ დასტურდება, რომ პედაგოგმა უნდა განახორციელოს პროფესიული პროგრამის რომელიმე მოდულის სწავლება. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პედაგოგების სრულყოფილი პირადი საქმეები, სადაც იქნებოდა დოკუმენტები, თუ როგორ იქნა პედაგოგი შერჩეული მოცემული მოდულის განსახორციელებლად. ვიზიტის მეორე დღეს, დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოგვიდგინეს პედაგოგებთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მითითებულია რომელი პროფესიული პროგრამის რომელ მოდულს ახორციელებს, თუმცა რა კრიტერიუმებით და რის მიხედვით იქნა არჩეული აღნიშნული პედაგოგები, არ იქნა წარმოდგენილი.

დაწესებულების იურისტის განმარტებით, რადგან პროგრამა ჯერ არ არის დამატებული, პედაგოგებთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მე-3 პუნქტი განსაზღვარავს, რომ „წინმდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე“, რაც მიანიშნებს, რომ პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღებისას უნდა ფორმდებოდეს ხელშეკრულება, ამიტომაც მათ პირად საქმეებში დევს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი და CV. იმ შემთხვევაში თუ მოხდება პროგრამების დამატება, მათთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები და პირად საქმეშიც განთავსდება ყველა ის დოკუმენტი, რაც მოითხოვება დაწესებულების მარეგულირებელი წესებით.

თუმცა, დაწესებულებას ცალკე არ აქვს გამიჯნული პროფესიული მასწავლებლი შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს და შეიმუშაოს პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის ფორმალური წესი, რითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი და ზოგადად პროფესიული განათლება გაემიჯნება აკადემიური განათლებისაგან და სადაც კონკრეტულად იქნება გაწერილი როგორ ხდება მათთან შრომითი ურთიერთობების გაფორმება, რაც უზრუნველყოფს მათთვის კანონიერი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2019წ.

- ✓ პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეებით;
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესით (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით);
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით;
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესით, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1937 დადგენილებით;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრემების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით;
- ✓ ინტერვიუირებით.

შეფასება:

- ✓ <u>**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ღონისძიების ორგანიზება	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში 020370	61	91	ქართული	სტუ, თბილისი. კოსტავას ქ. №68. I კორპუსი	0	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.

2	საოფისე საქმე	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	სტუ, თბილისი. კოსტავას ქ. №68. I კორპუსი	0	30
3	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 020371	69	99	ქართული	სტუ, თბილისი. კოსტავას ქ. №68. I კორპუსი	0	30
4	ჰაერის კონდიცირება	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში 040571	52	82	ქართული	სტუ, თბილისი. კოსტავას ქ. №68. I კორპუსი	0	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

1. დღის წესრიგი;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ - IV თავი;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1937 დადგენილებით;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრემების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით;
6. მოდული - „პირდაპირი და არაპირდაპირი ჰაერის კონდიცირების სისტემების სამუშაოები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

თბილისი, 2019წ.